ა ნ ა ლ ე ბ ი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჟურნალი

А Н А Л Е Б И

Журнал института истории и этнографии им. И. Джавахишвили АН Грузии

A N A L E B I

The Issue of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnography Georgian Academy of Sciences

თბილისი
მემატიანე
1999

947.922 + 39 (479.22)
ა 615

ჟურნალის „ანალები“ რედკოლეგია:

აკად. დ. მუსხელიშვილი (მთავარი რედაქტორი)
აკად. გ. მელიქიშვილი
აკად. მ. ლორთქიფანიძე
ი.მ.დ. გ. ალასანია
ი.მ.დ. ა. ბენდიანიშვილი
ი.მ.დ. მ. სამსონაძე
ი.მ.კ. ნ. მინდაძე
ი.მ.კ. ა. დაუშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი)
ქ. ხუციშვილი (ინსტიტუტის სწავლული მდივანი)

ჟურნალი გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გამომცემლობაში „მემატიანე“

მთავარი რედაქტორი: თ. ჭყონია
ოპერატორები: ა. რუაძე, გ. მესხიძე, მ. ბუტიკაშვილი, ნ. ხუციშვილი

© ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, ა $\frac{11}{1999}$
საავტორო უფლებები დაცულია.

ნინო აბაკელია

ზოგიერთი ადრექრისტიანული ელემენტი ქართულ ტრადიციაში

ქრისტიანობის ადრეული, მეტად მნიშვნელოვანი პერიოდის შესახებ მწირი მასალა მოიპოვება. შესაბამისად, მისი ამა თუ იმ ელემენტის დროსა და სივრცეში გამოვლენა, აღწერა და განვითარების ჩვენება გარკვეულ ცოდნას იძლევა თვითონ ქრისტიანობის შესახებ.

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, ადრექრისტიანული ელემენტების გამოვლენისას და აღდგენისას ვიყენებთ არა მარტო საღმრთო წერილს, არამედ, ასევე, ზეპირსიტყვიერ ტრადიციას, რიტუალს, არქეოლოგიურ ფაქტებსა და ხუროთ-მოძღვრულ ძეგლებს.

შესაბამისად, ჩვენი კვლევის სფეროში ექცევა საქართველოში გავრცელებული საუკუნეებით ნაკურთხი ძველი რიტუალი, რომელიც გამოირჩევა საიდუმლო შესრულებითა და ღრმა ღვთისმოსაობით; იგი სხვადასხვა ინტენსივობითა და სახითაა შემორჩენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოყვანილი წეს–ჩვეულება რეკონს-ტრუქციის მცდელობას წარმოადგენს, რომელიც ემყარება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული არაერთგვაროვანი მასალის ერთად თავმოყრასა და ანალიზს.

საქმე ეხება წინაპართაგან დაარსებულ, თაობიდან თაობაში მკაცრად დაცულ რიტუალს, რომელიც მარანში მაცხოვრის სახელზე ჩადგმულ საზედაშე ქვევრთან სრულდება. აღნიშნულ რიტუალს თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა დაუკარგავს მოსახლეობაში და ინერციით თუ ტრადიციით განაგრძობს არსებობას. ამ წეს–ჩვეულების აღდგენა შესაძლებელია საქართველოს ბარში და მთისწინეთში (ანუ ვაზის გავრცელების არეალში) და, ასევე, მთაშიც.

რამდენადაც წინამდებარე ნაშრომი ემყარება მონოგრაფიას „სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში" (თბ., 1997), ამდენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ძალიან მოკლედ და ზოგადად მოვიყვანოთ რიტუალის აღწერილობა თვალსაჩინო დეტალებზე მახვილების გაკეთებით.

ჩვენ ხელთარსებული მასალების საფუძველზე დგინდება, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ასევე საქართველოს მთიანეთში, რომელზეც ქვემოთ სპეციალუ-რად შევჩერდებით) სააღდგომოდ ყოველ ოჯახს (ან გვარს, სოფელს, თემს ან სადღეობო დაჯგუფებას) აღთქმის თანახმად მარნის მარჯვენა ნაწილში ჩადგმული ჰქონდა სალოცავი ქვევრი. ყურძნის მოსავლის აღების შემდეგ აღნიშნული ქვევრი ივსებოდა საუკეთესო, სუფთა წითელი (შესანირი) ღვინით, რომელიც უნდა გახსნილიყო და დახარჯულიყო აღდგომას (ან ზოგი მასალის მიხედვით, შობას). ხდებოდა სამსხვერპლოდ დაყენებული ცხოველის (ცხვარი, ხარი) შეწირვა. ლოცვა მიმართული იყო აღმოსავლეთისაკენ. რიტუალში მონაწილეობას ღებულობდნენ მხოლოდ მამაკაცები. ცხვებოდა რიტუალური პურები, კეთდებოდა ცვილის სანთლები. ამის შემდეგ მლოცველი მამაკაცი მიდიოდა მარანში და ხსნიდა აღთქმულ ქვევრს. მლოცველებს მიჰქონდათ სანთელი, საკმეველი და ნაკვერჩხალი და იჩოქებდნენ სახით აღმოსავლეთისაკენ, ისე, რომ ქვევრი მათ წინ ყოფილიყო. ოჯახის უფროსი, რომელიც სანთელს ანთებდა, ამაგრებდა მას ქვევრის თავზე, დებდა ცოტაოდენ საკმეველს ნაკვერჩხალზე და როდესაც იგი აკვამლდებოდა, იგივე ლოცვას გაი-მეორებდა, რომელსაც იგი მსხვერპლის დაკვლის წინ წარმოსთქვამდა. ოჯახის წევრები პასუხობდნენ „ამინ"–ით.

ლოცვის დამთავრების შემდეგ, რიტუალის წარმმართავი გულ–ღვიძლსა და რიტუალურ პურს ჩამოაჭრიდა მცირე ნაწილს და ღვინოში დასველების შემდეგ დასწვავდა მათ ნაკვერჩხალზე; შემდეგ იმავე ნაწილებს ჩამოაჭრიდა იმდენ ნაწილს, ოჯახის რამდენი წევრიც ესწრებოდა ამ რიტუალს და მისცემდა ყოველ მათგანს შესაჭმელად და დააყოლებინებდა ქვევრიდან ამოღებულ ღვინოს. ამის შემდეგ ყველა წამოდგებოდა და თავს დახრიდა აღმოსავლეთისაკენ. შემდეგ გამოვიდოდნენ მარნიდან, გამოიტანდნენ მსხვერპლის ხორცს, სპეციალურად გამოცხობილ ხაჭაპურს (ან

ქადებს), დასხდებოდნენ სუფრასთან და ინადიმებდნენ[1].

იგივე წეს-ჩვეულება დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც, სადაც, ბუნებრივია, ვაზი არ ხარობს, მაგრამ მთიელთა ძირითად სალოცავებს (გუდანის ჯვარს, არხოტის ჯვარს, კარატის ჯვარს, კოპალას, ლაშარის ჯვარს, (მ)თავარმოწამეს და იახსარს) აქვთ შემოწირული ვენახები [2]. შეწირულ ვენახებში ხატის ქვევრ-მარანი იყო, რათა მათ შეესრულებინათ წლის უმთავრესი დღეობა – სერობა.

დღეობა მოძრავია და მოდიოდა მკათათვეში. რიტუალის მკათათვეში შესრულება ალ. ოჩიაურის განმარტებით, განპირობებული იყო იმით, რომ შორიდან მოსასვლელი ყველა გზა იყო გასული. ამ დროს მთებში ცხვარი უკვე ამორეკილი იყო და ააკლავს ადვილად შოულობდნენ. გარდა ამისა, სხვა მლოცველებსაც შეეძლოთ აქ თავის მოყრა. რიტუალური პროცესია შემდგარი ხევისბრით, ორი დასტურით, მორწმუნე კაცებითა და სამგზავრო დროშებით, მიემართებოდა შეწირულ ვენახებში და შესაბამისი რიტუალის შესრულების შედმეგ მარანში, აჰქონდათ კულუხი ძირითად სალოცავში, გზადაგზა ნიშებთან გაჩერებით, ისე, რომ ხატში აუცილებლად ხუთშაბათ დღეს (ე. ი. საიდუმლო სერობის დღეს – ნ. ა.) უნდა დაბრუნებულიყვნენ და დღესასწაულობდნენ, როგორც თვითონ ამბობენ, მთავარ დღეობას, რჯულის დღეობას – „სერობას"[3]. თუმცა, მისი თავდაპირველი მნიშვნელობა და ფუნქციები მათთვის უკვე მივიწყებული იყო. (აქვე გვინდა დავუმატოთ, რომ ცნობები სალოცავი ქვევრების შესახებ XVII საუკუნის ფრანგი მოგზაურის ჟ. შარდენის აღნერილობებშიც გვხვდება) [4]

როგორც აღინიშნა, ამ დღისთვის ტრადიციულად ცხვება რიტუალური პური, რომლის სახელი „განატეხი" რაჭასა და ლეჩხუმშია შემონახული. „განატეხი" იტვიფრება სხივური გამოსახულებებით, მზით, მთვარითა და ვარსკვლავებით, ჯვრით ან ჯვრებით და, რაგინდ პარადოქსულადაც არ უნდა ეღერდეს, ჩაქუჩითა და ნამგლითაც კი, რაც მისი თავდაპირველი მნიშვნელობის მივიწყებაზე მეტყველებს.

რიტუალში დადგენილმა ფაქტებმა გაგვამახვილებინა ყურადღება, რომ ეს იყო საძმო ტრაპეზი საღვინე სახლში, მარანში. რომ მასში მახვილი კეთდებოდა საკმევლის დაკმევაზე, სამსხვერპლო ძღვენზე – პურსა. და ღვინოზე, რომელიც რიტუალის დასრულების შემდეგ ურიგდებოდა დამსწრეებს, ნაწილდებოდა მათ შორის, ხოლო სამადლობელი სიტყვებისა და ლოცვის მეშვეობით იკვეთებოდა რაღაც რეალობა.

ჩვენი აზრით, ყველაფერ ამას ქრისტიანულ საკრამენტულ მისტიკასთან, საეკლესიო საიდუმლოს მეტაფორასთან უნდა ჰქონდეს მიმართება. საზედაშე ქვევრთან გარკვეულ ერთობლიობაში შესრულებული სალოცავი რიტუალი – სამსხვერპლო ცხოველის შეწირვა, პურის განტეხვა, ლოცვა და წმინდა სასმელთან ზიარება, ფაქტობრივ, სააღდგომო ევქარისტიის დღესასწაულს უნდა გულისხმობდეს. მაგრამ შეიძლება დაისვას კითხვა: რამდენად შეესაბამება ქრისტანულ პრაქტიკას ცხოველის მსხვერპლად შეწირვა. ქრისტიანული ღვთისმსახურების სწორად გაგებისათვის, როგორც ცნობილია, არ უნდა დავივიწყოთ, რომ პირველი ეკლესიის მნიშვნელოვანი წევრები-მოციქულები ებრაელები იყვნენ. მართალია, მათი რწმენა ახალი იყო და აღარ იყო ძველი აღთქმისეული, მაგრამ მათი ლოცვა და ღვთისმსახურება შორს ვერ წავიდოდა მაშინდელი იუდეური ფორმებისაგან. თუ ამ ფორმებს მივაქცევთ ყურადღებას, გამოჩნდება თუ რა ზეგავლენა მოახდინეს მათ ქრისტიანული ღვთისმსახურების განვითარებაზე. რელიგიური აღფრთოვანება, რომელმაც მოიცვა მოციქულები და ქრისტეს სხვა მოწაფეები ქრისტეს აღდგომის შემდეგ, გამოვლინდა იმით, რომ ისინი მთელი დღეები ატარებდნენ ტაძარში, სადაც დიდება და ლოცვა შესაძლებელი იყო მხოლოდ ებრაული ფორმით. ხოლო რაც შეეხება ებრაულ ტაძრულ ღვთისმსახურებას მის არსს მსხვერპლშეწირვები წარმოადგენდნენ.[5] ებრაული ღვთისმსახურების ერთ-ერთი ფორმა საპასექოდ უფლის სახელზე ცხვრისა და ძროხის დაკვლა იყო (შდრ. 2 რჯული: 16,2).

საპასექო კრავი იყო მსხვერპლი, რომელიც, ერთი მხრივ, სისხლის პკურების გზით, ადასტურებდა შენდობას, ხოლო, მეორე მხრივ, კრავის კრებულში ჭამა ადასტურებდა, როგორც ღმერთთან, ასევე, მორწმუნეთა ერთმანეთთან ურთიერთობასაც. ამ საერთო, ზოგადი ნიშნების და, აგრეთვე, ზოგიერთი სხვა წვრილმანითაც, მაგალითად, როგორსაც წარმოადგენდა

საპასექო ბატკნის ძვლების დამსხვრევის აკრძალვა (გამ. 12,46; იოან. 19,38), ითვლება, რომ საპასექო ბატკანი იყო წინახატება კრავი–ქრისტესი (1 კორ. 5; 7; შდრ. 10,7), რომელიც, ასევე, მსხვერპლად იქნა შენირული იერუსალიმში, ზუსტად იმ დროს, როდესაც ათასობით კრავი იკვლებოდა ისრაელელთა მიერ იერუსალიმის ტაძარში. (ასევე აღსანიშნავია, რომ პასექის დღეობაზე, გარდა აუცილებელი საპასექო კრავისა, მსხვერპლად ინირებოდა სხვა ცხოველებიც (რჯლ. 16,1 და შემდ; 2 ნეშტ. 35,7 და შემდ. და სხვ).[6] აქვე გვინდა დავუმატოთ, რომ მარანში შესრულებულ რიტუალში სამსხვერპლო ცხოველის გულ–ღვიძლის ნაწილობრივი დაწვა წარმოადგენს საცეცხლო მსხვერპლის აღვლენას „კეთილსურნელებად უფლისა" (შდრ. ლევ, 1,13).

როგორც ცნობილია, მორწმუნეთა ურთიერთობის თავისებურ ზენიტს „პურის განტეხვა" (იგულისხმება „ევქარისტია") წარმოადგენდა კრებულთა საერთო ტრაპეზში, რომელიც მხსნელის მცნებას ემყარებოდა: „ამას ჰყოფდით მოსახსენებლად ჩემდა". ითვლება, რომ აღნიშნულ ტრაპეზს თავიდანვე უნდა მიეღო ღვთისმსახურების მნიშვნელობა. მაგრამ მიუხედავად ამისა ამ ტრაპეზს, თავდაპირველად არ ჰქონია ლიტურგიკული ფორმა; პირველქრისტიანობაში იგი, ასევე კვების ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც წარმოადგენდა.[7] როგორც მოციქულთა საქმიდან ჩანს, ნათლად, მორწმუნენი „ყოველ დღე ერთსულოვნად იყვნენ ტაძარში, ტეხდნენ სახლებში პურს და სიხარულით და გულის უბრალოებით იღებდნენ საზრდოს". (2.46–47). ამ პასაჟში პირველქრისტიანთა მსახურება ორი სახით წარმოიდგინება: ერთი მხრივ, ისინი მონაწილეობენ ებრაულ, ძველ აღთქმისეულ ღვთისმსახურებაში ტაძარში, ხოლო მეორე მხრივ, ამას ემატება – სახლის ღვთისმსახურება.[8]

მარანში, რომელიც, ფაქტობრივად, პირველქრისტიანთა კენაკულუმის ფუნქციას ღებულობს, შესრულებული რიტუალით ხორციელდებოდა საკუთარი თავის შეერთება პირველ ლიტურგიასთან (ანუ საიდუმლო სერობის ჟამთან), რომლის დროსაც მაცხოვარმა დაამკვიდრა პურისა და ღვინის გარდაქცევის ახალი საიდუმლო.

ქართველთათვის ღვინის გამოყენება და პურის განტეხვა „უფლისა იესოს სახელით იყო და არის არა მარტო მადლობის გამოსახატავი ღმერთისა და მამისადმი", ყოველისთვის რასაც სიტყვით თუ საქმით აკეთებდნენ, არამედ, ასევე, გახსენებაა (anamnesis) იმ მსხვერპლისა, რომელიც ხსნისა და მარადიული ბედნიერების წყაროა (იხ. კოლ. 2.17; 2,20; 1 კორ. 11–25).

ამრიგად, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გვაქვს უძველესი რიტუალი, უძველესი ქრისტიანული ტრადიცია, რომლის წყაროსაც თვითონ მაცხოვარი წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ევქარისტიის უადრეს საბუთს, რომ ეს თვითონ იესო ქრისტედან მომდინარეობს, პავლე მოციქული იძლევა (1. კორ. 11, 23–25).

„უფალმა იესომ თავისი გაცემის ღამეს აიღო პური,
მადლი შესწირა, გატეხა და თქვა: მიიღეთ და ჭამეთ;
ეს არის ჩემი სხეული, თქვენთვის გატეხილი.
ეს ჰყავით ჩემდა მოსახსენებლად.
ასევე სერობის შემდეგ აიღო სასმისიც და თქვა:
ეს სასმისი არის ახალი აღთქმა ჩემს სისხლში;
ეს ჰყავით ყოველთვის, როცა სვამთ, ჩემდა
მოსახსენებლად". (იგივე, იხ. ლუკა: 22,20).

ევქარისტიის დღესასწაული, რომელსაც დღესასწაულობენ იესო ქრისტეს მაგალითისა და მითითების მიხედვით, პირველი საუკუნიდან მომდინარეობს.

საიდუმლო სერობაზე დაფუძნებულ პურისა და ღვინის მისტერიას, რომელიც ქრისტანული რწმენის შუაგულს წარმოადგენს, ლიტურგიკული ჩარჩო მიეცა, რომელმაც განვითარება განიცადა. განვითარების პროცესში ფაქტობრივი საკრამენტული ქმედება გამოცალკევდა ტრაპეზისაგან ან „კრებულთა დასხდომის წესისაგან" და კომბინირებულ იქნა დილის ლიტურგიასთან. ასე აღმოცენდა კლასიკური ფორმა ევქარისტიისა.[9]

„კრებულთა დასხდომის წესი", როგორც ე. გაბიძაშვილი აღნიშნავს, რომლის აკრძალვა დიდი სჯულის კანონშია მოცემული, უძველესი ქრისტიანული ჩვეულების გადმონაშთი უნდა იყოს. მისი აზრით, ეს ტრადიცია უნდა ემყარებოდეს ქრისტიანობის პირველ წლებში ჩამოყალიბებულ ე. წ. „სიყვარულის სერობის" შემოღებას. ასეთი სახელწოდება (αγαπη – სიყვარული) ამ რიტუალმა მიიღო იმასთან დაკავშირებით,

რომ ეს დღე ითვლებოდა ქრისტეს საიდუმლო სერობის მოგონების აღმნიშვნელად და მიზნად ისახავდა მდიდარ და ღარიბ მორწმუნეთა შორის კეთილი დამოკიდებულების და სიყვარულის განმტკიცებას. ასეთი შეკრებები ლხინისა და დღესასწაულის ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

მოგვიანებით, როდესაც მიღებულ იქნა ზიარების წესი უზმოზე, „სერობა" (ანუ აღაპი) ზიარების შემდეგ იწყებოდა. ზოგიერთი უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, მეორე საუკუნიდან აღაპებს მართავენ ლიტურგიისაგან განცალკევებით, ეკლესიის შიგნით ან მის ეზოში საღამო ხანს. უკვე დასაწყისშივე ასეთ წვეულებებზე ხშირი იყო არეულობა და ლოთობა, მდიდართა მიერ ღარიბების აბუჩად აგდება და დაცინვა, რაც, ხშირად, ცუდად მთავრდებოდა. ამ გარმოებამ თანდათანობით გამოიწვია აღნიშნული ჩვეულებისადმი ეკლესიის მიერ არცთუ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და აიკრძალა.[10]

მიუხედავად ამ აკრძალვისა ეს წესი საქართველოში, როგორც ეტყობა, მაინც სრულდებოდა. მაგ: მისი მიკვლევა, ჩვენი აზრით, შესაძლებელია სვანურ „სკარობაში" //„ლასკრობაში". [11] თვითონ ტერმინი „სკარობა" – ერთად ჯდომას ნიშნავს. სხვა განმარტებით, ლასკარი, ლესკარ ღმერთის მომზის (ღმერთის მლოცველი) ხალხის ჯდომასაც ნიშნავდა და დიდი ზომის რიტუალურ პურსაც, რომელიც ჰლლიში // ულიშის იგივე უფლის დღესასნაულის ანუ აღდგომის დროს ცხვებოდა წელიწადში ერთხელ. ზესხოში ლესკარ მიჰქონდათ (უფრო ლამარიას //მარიამის) სალოცავში. მთხრობლების თქმით, ამ დღეს მთელი სოფელი მიდიოდა და ერთად იყრიდნენ თავს. იცოდნენ ერთი საერთო საკლავი „ნამძურუ" (ან ცხვარი, ან ხარი, ან თხა). ყველაზე უკეთესი ცხვარი იყო, მერე ხარი. ქვემო სვანეთში ჟახუნდერის, მებეც–ლეკოსანდის ლასკარი თავს იყრიდა ჟახუნდერის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში, წმ. ცაცხვთან. კედლიდან ცაცხვამდე ისხდა თავადობა, სამხრეთით გლეხობა, დასავლეთით ლეკოსანდისა და მებეცის გლეხობა, აღმოსავლეთით – არავინ. „სკარობა" იცოდნენ, ასევე, ჩუკულში მთავარანგელოზის სახელობის სალოცავის წინ. აქ თავში გელოვანები დასხდებოდნენ და ა. შ.

ლასკარი იკრიბებოდა „დიდ აღდგომას". პურმარილი მიჰქონდა ყველას. გვარი თავისთვის აწყობდა სუფრას. მერე იწყებოდა გადასვლა–გადმოსვლა, გადაპატიჟება, პურმარილის გაგზავნა. ვინ როგორ პატივსა სცემდა და ვის როგორი ავტორიტეტი ჰქონდა. ყველა გელოვანს უგზავნიდა. ყველა გვარს თავისი თამადა ჰყავდა.

ჩვენი აზრით, დღესასწაულ სერობის იდენტიფიკაცია ძნელი არ უნდა იყოს ამ ჩვეულებაში. სერობას თავდაპირველად ზეიმობდნენ (იგულისხმება მთელი საქრისტიანო) უპირატესად უფლის დღეს, კვირას, რაზეც მოციქულთა საქმე მოწმობს (20: 7), მეოთხე საუკუნეში, ასევე, ხუთშაბათს (ამ დღის აღნიშვნა საქართველოშიც დასტურდება), მოგვიანებით ყოველ-დღიურად (რაც პირველად წმ. ავგუსტინეს მიერაა დამოწმებული).[12]

ახლა შევჩერდეთ „განატეხის" სახელით ცნობილ რიტუალურ პურზე, რომელიც ამ დღესასწაულის აუცილებელი და განუყოფელი ნაწილია, და მის სატვიფარზე ანუ ხალხური გამოთქმით – „საჭრეთელზე".

ტერმინი „განატეხი" რიტუალური პურის აღსანიშნავად დღემდე შემორჩენილია რაჭასა და ლეჩხუმში. მიუხედავად იმისა, რომ „განატეხის" გამოცხობა სხვადასხვა დროს იციან (მაგ: ავადმყოფობის დროს, კარგი ამინდის გამოწვევის მიზნით, სხვადასხვა დღეობებზე: ბარბალობა, შობა, ახალი წელი, ხარება, აღდგომა, მარიამობა, გიორგობა და სხვ.), მის თავდაპირველ მნიშვნელობასა და გამოყენებაზე ტერმინი განატეხი პირდაპირ მიგვანიშნებს.

განატეხი – რო შესწირავ იმ პურს ჰქვია (რაჭა). გლოლაში მთხრობლის სიტყვებით, განსაკუთრებული სახე ჰქონდა განატეხს მაცხოვრის კვირას („მაცხოვრის შემოლოცვას").[13]

ზემო ჟოშხაში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში მივიდოდნენ გორგოთობას (აღდგომის მეორე დღეს). ძნელი მისახვედრი არ არის, რომ გორგოთობა იგივე გოლგოთობაა და მას პირდაპირი კავშირი აქვს გოლგოთას მოვლენასთან. ამ დღისათვის განატეხის გაკეთება იცოდნენ და მთელი სოფელი იყრიდა იქ თავს. ყველა თავ-თავისი შესაწირავით მივიდოდა. იქ გროვდებოდნენ და იქეიფებდნენ. [14]

ამგვარად, საზედაშე ქვევრთან შესრულებულ რიტუალის მონაწილეთა შორის გასაყოფ პურს „განატეხი" (რაჭა-ლეჩხუმი) ეწოდებოდა, სხვაგან (მაგ: ხევში, მთიულეთში) – „ქრისტეს პური", ხოლო საერთო ტრაპეზს „პურის გატეხვა//პურის განტეხვა", რაც სრულ შესატყვისობაშია ახალი აღთქმის საერთო ტრაპეზთან (იხ. ლუკ. 44:30,35; საქმე, 2, 46; 20: 7,11).

ზოგი ვარაუდით, ფრაზა „პურის განტეხვა" ღვთის სერობის აღმნიშვნელია (საქმე: 2:42).

საინტერესოა, რომ პურის ტვიფარი ანუ საჭრეთელი (რაჭა მაქვს ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში) განატეხისათვის მზადდებოდა ლეკის ან წიფლის ხისაგან და ბოლო დრომდე დასტურდება ქართულ ყოფაში. საჭრეთელის ფორმა იყო მრგვალი. მასზე ამოტვიფრული იყო მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ჯვარი; უკეთდებოდა მრგვალი სახელური.[15] ევქარისტიული ტვიფრების ან სატვიფრების ისტორია შეიძლება რამდენადმე დაგვეხმაროს ზემოთ მოყვანილი ევქარისტიული პრაქტიკის დათარიღებაში. შუა საუკუნეების ევქარისტიული პურის ქართული სატვიფრები გარკვეული მიზნებიდან გამომდინარე შეისწავლა ვ. ჯობაძემ[16].

როგორც ცნობილია, ევქარისტიული პურის საბეჭდავები დაცულია თბილისის სახელმწიფო მუზეუმში. თითოეული მათგანი ამოტვიფრულია ქვიშა-ქვაში. როგორც ვ. ჯობაძე აღნიშნავს მათ, სამწუხაროდ, არ გააჩნიათ სათანადო არქეოლოგიური დოკუმენტაცია, რამდენადაც წარმოადგენენ შემთხვევით აღმოჩენებს. მაგრამ მრგვლოვანი დამწერლობით შესრულებული კვეთილობა და წარწერები აადვილებს მათი მორფოლოგიის გაგებას.

ვ. ჯობაძის აზრით, ამგვარი ევქარისტიული ტვიფრების არსებობა საქართველოში და მათი პრაქტიკაში გამოყენება ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რაც საბა-წმინდის ტიპიკონიდანაც და ხანმეტი ლექციონარიდანაც ჩანს; აღნიშნული კი, მკვლევარის აზრით, იმის დასტური უნდა იყოს, რომ იბერიის დედაქალაქ მცხეთაში მეხუთე საუკუნის შუა ხანიდან ლიტურგიები ტარდებოდა ქართულ ენაზე. შესაბამისად, ამ დროიდან მოყოლებული ე. ი. V საუკუნის შუა ხანებიდან ლიტურგიული პურის ტვიფრები ევქარისტიული მსახურების დროს ხმარებაში უნდა ყოფილიყო. [16]

ვ. ჯობაძის აზრით, ევქარისტიული პურის ტვიფრების არსებობის საბუთს, ასევე, იძლევა ქართული სკულპტურული გამოსახულებები. მათ შორის უადრესია წებელდას ეკლესიის საკურთხევლის სცენის დიდი ფრაგმენტი. ამ გამოსახულებას ევქარისტიულ მნიშვნელობას ჯერ კიდევ რენე შმერლინგი აძლევდა[17]. ეს სცენა VII–VIII საუკუნეებით თარიღდება.[18] ვ. ჯობაძის აზრით, აღნიშნული გამოსახულება წმინდა ტაბლის სრულ სურათს იძლევა. ეს ვარაუდი კიდევ უფრო ძლიერდება ფართოტუჩიანი სურის გამო, რომელიც იქვეა მოთავსებული და ევქარისტიული ტაბლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მსგავს სურას ვხვდებით მცხეთის კათედრალის (1029 წ.) მარცხენა ფასადზე, ცენტრში გამოსახული იესო ქრისტეს დიდებაში, რომელიც ორი ანგელოზითაა ფლანკირებული. მარცხენა ანგელოზს უკავია ღვინის სურა, მეორეს კი ხელთ უპყრია მრგვალი პური (განატეხი). ვ. ჯობაძის აზრით, ეს სცენა ევქარისტიულ იმპლიკაციებს შეიცავს. ჩვენი მხრივ დავუმატებდით, რომ ამგვარი სურა არა მარტო იმპლიკაციებს შეიცავს, არამედ ნამდვილად ევქარისტიის დროს გამოიყენებოდა, რაზედაც მიგვანიშნებს ე. თაყაიშვილის მიერ აღწერილი მარტვილის მონასტრის ვერცხლის ჭურჭელი და იარაღები, რომელშიც რამდენჯერმე არის ნახსენები ვერცხლის საზედაშე სურა. [19]

დაბოლოს, ადრექრისტანული პრაქტიკის მიკვლევა ასევე შესაძლებელია ხუროთმოძღვრულ ძეგლებში XVII საუკუნემდე შენარჩუნებულ ელემენტებში და სხვ. ამასთან დაკავშირებით, ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორმა დ. თუმანიშვილმა შემდეგ ფაქტებზე მიგვაქცევინა ყურადღება. საქრისტიანოში, როგორც ფიქრობენ, IV საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება ჯვრების დადგმის წესი შუაგულ ეკლესიაში საკურთხევლის პირდაპირ. სირიულ აღმოსავლეთში ეს ჯვრები გოლგოთას ასახიერებს. ლათინურ დასავლეთში ამგვარ ჯვრებთან და, როგორც მკვლევარი ფიქრობს, ჩვენთანაც (როგორც ეს ხელოვნებათმცოდნე ქ. აბაშიძემ აჩვენა) მრევლის ზიარება ხდებოდა. ჯვრები შესაძლებელი იყო დადგმულიყო ეკლესიის პატრონის ან სხვა წმინდანის სახელზე. ასე

უნდა ყოფილიყო სამთავისშიც, რომელიც მაცხოვრის სახელობისაა, ხოლო ჯვარი თითქოს წმ. გიორგის ეკუთვნის. ამგვარი ჯვრების ტრადიცია გვხვდება ყველგან საქართველოში (იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი, ქართლი და სხვ.). ბოლო ამგვარი ჯვარი გაკეთდა წალენჯიხის ეკლესიაში XVII საუკუნეში. აღნიშნული ტრადიცია ანუ ჯვრის შუაგულ ეკლესიაში დადგმის წესი საქართველოში XVII საუკუნემდე იყო შემორჩენილი. საქრისტიანოში ზოგადად ყველგან მოისპო. ევროპაში - უკვე XIII საუკუნიდან აღარ უნდა იყოს.

მეორე მომენტი, რომელზეც ასევე გაგვამახვილებინა ყურადღება დ. თუმანიშვილმა, ეხება კანკელს (მაგ.: სათხის კანკელი XI საუკუნის). კერძოდ კი იმას, რომ ქართული კანკელი დაბალია, საკურთხევლის თავი მაინც ჩანს და ღიაა. მხოლოდ XVII საუკუნის ბოლოში ჩნდება ხატებით დაფარული კანკელი. საქართველო ამგვარ კანკელებს ინარჩუნებს XVII საუკუნის ბოლომდე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ადრექრისტიანული ელემენტების გამოვლენა ქართულ ტრადიციაში სხვადასხვა სფეროშია შესაძლებელი.

ამრიგად, ზემოთ აღწერილ და გაანალიზებულ მარანში შესრულებულ ქრისტიანთა ერთობლივ სალოცავ რიტუალში მიიკვლევა ღვთის სერობის დღესასწაულის ერთ-ერთი უძველესი, ადრექრისტიანული ფორმა, რომელშიც ნათლადაა გამოვლენილი, თუ როგორი ზეგავლენა იქონია მასზე იუდეველთა პასექის დღესასწაულის რიტუალმა. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ცხოველის შეწირვა, შეწირული ცხოველის შიგნეულის ნაწილობრივი (ზოგჯერ მთლიანი) დაწვა ნაკვერჩხალზე, ლოცვაში ებრაული სიტყვების გამოყენება (მაგ.: როგორიცაა „ამინ"-ი, რომელიც „ჭეშმარიტად"-ს ნიშნავს) და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარანში ჩატარებული სალოცავი რიტუალი საერთო ნადიმის ნაწილს წარმოადგენდა. ასევე, საინტერესოა, რომ საქართველოში დასტურდება სერობის დღესასწაულის ეკლესიის ეზოში შესრულებაც, რომელიც „კრებულთა დასხდომის წესითაა" გამოხატული.

დაბოლოს, აღნიშნული რიტუალები კიდევ იმითაა საყურადღებო, რომ ისინი (მიუხედავად იმისა, რომ მათი თავდაპირველი მნიშვნელობა ხშირად მივიწყებულია) დღემდე სრულდება მართალია განსხვავებული ინტენსივობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ვფიქრობთ, რომ ზემოთ მოტანილი მასალა ხელს შეუწყობს ქრისტიანობის ისტორიაში ადრეული პერიოდის შესახებ არსებული ლაკუნების გარკვეულწილად შევსებას.

Н. Абакелия

О некоторых раннехристианских элементах в грузинской традиции

О раннем очень значительном периоде христианства имеются весьма скудные сведения. Соответственно, выявление его того или иного элемента во времени и пространстве, описание и показ его развития дают определённое знание собственно об истории христианства.

В статье показано, что выявление и реконструкция раннехристианских элементов в грузинской традиции вполне возможны, если наряду со Священным Писанием учесть этнографический материал, устную традицию, освящённый веками ритуал, археологические данные и памятники зодчества.

Соответственно, раннехристианская практика прослеживается в установленном предками молитвенном ритуале над сакральным винным сосудом, зарытом в землю и называемом "квеври", который, фактически, идентифицируется с христианским переживанием Тайнства Тайной Вечери в замкнутом помещении /в нашем случае, в винном доме-"Марани"/.

Используемые в этом ритуале печати ритуальных хлебов также указывают на раннехристианскую практику.

В Грузии наличие раннехристианских элементов также засвидетельствовано в памятниках зодчества, в которых эти элементы продолжают функционировать вплоть до конца XVII столетия /как, напр., в случае установления Креста Голгофы непосредственно перед алтарём, около которого, фактически, происходило причащение прихода и т. п./.

Выявление раннехристианских элементов в

грузинской традиции имеет огромное значение, так так оно способствует восполнению существующих лакун в истории христианства в целом.

NINO ABAKELIA

THE INVESTIGATION OF EARLY CHRISTIAN ELEMENTS IN THE GEORGIAN TRADITION

Information about the early period of Christianity is insufficient. Therefore, the revealing of its elements in the time and space, their description and the demonstration of their development gives us some knowledge about the history of Christianity on the whole.

The article actually shows that the revealing and the reconstruction of Early Christian elements (as well as of early Christian practice) is quite probable in Georgian tradition if oral tradition, ritual, archeological data and architectural monuments are considered together with the Holy Scriptures.

Early Christian practice can be traced in the ancestral praying ritual over the sacred wine-vessel buried deep into the ground experienced by Christians in the closed building (in our case in a wine-house). The ritual is actually identified with the Lord's Last Supper.

The ritual bread stamps used in the mentioned ritual also point to the Early Christian practice.

The Early Christian elements are also witnessed in the survival elements of architectural monuments (here we mean e.g. the placing of the Cross of Golgotha in front of the altar, here the people of a parish received the Eucharist, etc.).

Revealing of Early Christian elements in Georgian tradition is of great importance as it helps us to fill the lacunae in the early period of Christianity itself.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. იხ. ნ. აბაკელია, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997 წ.
2. ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღესასწაულები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, „მეცნიერება", თბ., 1991.
3. ალ. ოჩიაური, დასახ. ნაშრომი.
4. ჟ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1985.
5. Толковый Типикон. Объяснительное изложение типикона с историческим введением. составил проф. Киевской Духовной Академии М. Скабалбанович. Выпуски 1,2,3.М., "Паломник", 1995. с.17-47.
6. Библейский словарь. Составил Эрик Нюстрем. Торонто, 1989, с. 310.
7. Толковый Типикон..., იქვე.
8. Толковый Типикон..., იქვე.
9. Leo Schefczyk, Eucharist, Sacramentum Mundi; An Encyclopedia of Theology, India, 1978.
10. ე. გაბიძაშვილი, რუის–ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978.
11. ლასკარ–ზე, როგორც სადღეობო დაჯგუფებაზე, იხ. ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I (ახალწლის ციკლი), თბ., 1938. რაც შეეხება ტექსტში მოყვანილ მასალას, იგი დადასტურებულია 1985 წელს ქვემო სვანეთში, ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს.
12. იხ. Leo Schefczyk, დასახ. ნაშრომი.
13. მასალა დადასტურებულია რაჭაში, სოფ. გლოლაში, 1997 წელს.
14. რაჭის 1983 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალა.
15. მასალა დადასტურებულია რაჭაში, სოფ. გლოლაში, 1997 წელს.
16. W. Djobadze, Medieval Bread Stamps from Antioch and Georgia; Oriens Christianus, B. 6. 1979. Wiesbaden. pp. 163-176.
17. Р. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, ст. 66. საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე, ნ. ალადაშვილი, ლიტერატურული თემა შუა საუკუნეების ქართულ სკულპტურაში. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ინსტიტუტის XXXIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი გ. ჩუბინაშვილის ხსოვნისადმი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1997 წლის 28, 29 და 30 მაისი. თბილისი.
18. W. Djobadze, დასახ. ნაშრომი.
19. ე. თაყაიშვილი, მარტვილის მონასტერი, თბ., 1993, გვ. 28.